სურათებზე: წრეში — მსოფლიოს ჩემპიონი ვ. რუბაშვილი; ქვევით — ასე თამამად იბრძვის იგი (სურათზე მარცხნივ) სარბიელზე.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვში ჩამოვიდა

ვენა, 4 ივნისი. (საკდესი). 3 ივნისს საღამოს ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა ა. შერფმა „შენბრუნის“ სასახლის დიდ დარბაზში ვახშამი გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის პატივსაცემად. ვახშამზე იყვნენ ორივე სახელმწიფო მოღვაწის თანმხლები პირნი და ავსტრიის რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

ვახშამის შემდეგ სტუმრებისათვის გაიმართა კონცერტი წამყვან ავსტრიელ მსახიობთა მონაწილეობით. ვახშამმა გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ვენა, 5 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს სპეციალური თვითმფრინავით გაემგზავრა ვენიდან.

დღეს 15 საათსა და 30 წუთზე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მოსკოვს ჩამოვიდა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

6 ივნისი

შაბათი, 1961 წ.
№ 74 (1710)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

ვლადიმერ რუბაშვილმა გვასახელა

ხუთი პირველი, ერთი მეორე და ერთი მესამე ადგილი. ასეთი შედეგით დაამთავრა თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობა ირანის გუნდმა. ჩემპიონატის დაწყებამდე ირანელთა შანსებს ასე მაღლა არავინ აფასებდა. სპეციალისტები სხვებზე უფრო მეტად საბჭოთა კავშირის და თურქეთის მოჭიდავეებს აძლევდნენ უპირატესობას. ჩვენმა სპორტსმენებმა ნაწილობრივ გაამართლეს იმედები, თურქები კი არნახულად დამარცხდნენ. სუსტად გამოვიდნენ პირველობაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბულგარეთის მოჭიდავეებიც, მაგრამ ყველაზე მეტად გაკვირვებას იწვევს იაპონელთა წარუმატებლობა, რომლებმაც „საკუთარ მოედანზე“ მხოლოდ ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მოჭიდავეთა შორის არსებობს ასეთი რწმენა: თუ გინდა იაპონელთა დაჩაგვრა, მათ ირანელები გამოუყვანეო. მართლაც, გასაოცარია როგორი „ერთგულებით“ იცავენ ამ რწმენას იაპონელები. რამდენჯერაც არ მოუხდათ მათ ბრძოლა ირანელი მოჭიდავეების წინააღმდეგ, იმდენჯერ სამარცხვინოდ დამარცხდნენ. ამ ჩვევას იაპონელებმა არც იოკოჰამაში უღალატეს და ამით მწვანე გზა გაუხსნეს ირანის ნაკრებს.

ფსიქოლოგიური ტრავმის მსხვერპლი გახდა იაპონელთა ერთ-ერთი უძლიერესი მოჭიდავე სატო, რომელსაც ჩემპიონატის დაწყებამდე გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ ქვემსუბუქ წონაში. სატომ დასაწყისში გაამართლა კიდეც თანამემამულეთა იმედები. მან შეუპოვარ ბრძოლაში ქულებით დაამარცხა ვ. რუბაშვილი. მაგრამ აი სარბიელზე სატოს წინააღმდეგ დადგა ირანელი თავაკული, რომელსაც ადრე წაგებული ჰქონდა ბრძოლა რუბაშვილთან. ბევრს ეცადა იაპონელი დაერღვია ტრადიცია ამ შეხვედრაში მაინც, მაგრამ ამაოდ. ირანელმა სპორტსმენმა მოიპოვა „კანონიერი“ გამარჯვება. ამის შემდეგ სატომ კიდევ ერთი შეხვედრა წააგო და გამოეთიშა შეჯიბრებას.

რუბაშვილი მეოთხე წრეში ისვენებდა. მეხუთე წრეში მისი მოწინააღმდეგე იყო ალენი (აშშ). ფიზიკურად ძლიერმა ამერიკელმა მხოლოდ ოთხ წუთს გაძლო ხალიჩაზე. მეხუთე წუთზე იგი ბეჭებზე გააკრა რუბაშვილმა. ეს მოგება საბჭოთა მოჭიდავისათვის უკანასკნელი ბრძოლა იყო ფინალის წინ.

ფინალში რუბაშვილის გარდა შევიდა თურქი ფეხლევანი და ირანელი თავაკული. რუბაშვილის მდგომარეობა სხვებზე უკეთესი იყო იმით, რომ მას უკვე ერთი ბრძოლა თავაკულთან მოგებული ჰქონდა. ბრწყინვალედ ჩაატარა საბჭოთა მოჭიდავემ უკანასკნელი შეხვედრა ფეხლევანთან. ლამაზი ილეთით მე-5 წუთზე მან ჩოქბჯენში გადაიყვანა მოწინააღმდეგე და შემდეგ ხალიჩას მიაჭაჭა. ფეხლევანმა თავის მხრივ დაამარცხა თავაკული და გაინაღდა მეორე ადგილი. მრავალრიცხოვანი მაყურებელი მხურვალე ტაშით შეხვდა მსოფლიოს ახალ ჩემპიონს ქვემსუბუქ წონაში ვ. რუბაშვილს.





მსოფლიოს ჩემპიონი უმძიმეს წონაში ა. ალიევი.

წარმატებით გამოვიდა უმძიმეს წონაში მსოფლიოს ჩემპიონი ა. ალიევი. მან ფინალში თანმიმდევრულად დაამარცხა ჯერ ირანელი სოლტანი, ხოლო შემდეგ 4 წუთში იანილმანი. ალიევი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი უმძიმეს წონაში. ვერცხლის მედლის ბედი აქ სოლტან-იანილმანის ორთაბრძოლაში გადაწყდა, რომელიც მოიგო პირველმა.

არ გაუმართლა საშუალო წონაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრს გ. გობეჯიშვილს. მესამე წრეში დასვენების შემდეგ იგი უნგრელ ხოლოშს შეხვდა. ბრძოლა მეტად დაძაბულად წარიმართა, მაგრამ პირველ 6 წუთში მოწინააღმდეგეებმა ვერაფერი მოუხერხეს ერთმანეთს. ჩოქბჯენში გობეჯიშვილმა იღრძო ფეხი და ექიმის დაჟინებითი მოთხოვნის შემდეგ მოიხსნა შეჯიბრებიდან, რამაც ხოლოშის შანსები დიდად გაზარდა. უნგრელმა შემდგომში წააგო მხოლოდ ერთი ბრძოლა ახალ ჩემპიონთან სავარაბადისთან (ირანი) და მოიპოვა ვერცხლის მედალი.

* * *

მოგვყავს ჩემპიონატის საბოლოო შედეგები:

უმძიმესი წონა — 1. ალიევი (სსრკ), 2. სოლტანი (ირანი), 3. იანილმანი (თურქეთი);

მძიმე წონა — 1. სეიფპური (ირანი), 2. ვარგა (უნგრეთი), 3. აკბასი (თურქეთი);

ქვემსუბუქი წონა — 1. რუბაშვილი (სსრკ), 2. ფეხლევანი (თურქეთი), 3. თავაკული (ირანი);

მსუბუქი წონა — 1. სანატკარანი (ირანი), 2. სინიავსკი (სსრკ), 3. უდეიშანდი (ინდოეთი);

ქვესაშუალო წონა — 1. ხაბიბი (ირანი), 2. ბეკმურზოვი (სსრკ), 3. კანეკო (იაპონია);

საშუალო წონა — 1. სავარაბადი (ირანი), 2. ხოლოში (უნგრეთი), 3. ანტონსონი (შვეცია);

ქვემძიმე წონა — 1. ტახტი (ირანი), 2. გურევიჩი (სსრკ), 3. გიუნგორი (თურქეთი);

მძიმე წონა — 1. დიტრიხი (გფრ), 2. ქაფლანი (თურქეთი), 3. მედვედი (სსრკ).

გუნდური ჩათვლა — 1. ირანი, 2. სსრკ, 3. თურქეთი, 4. იაპონია, 5. უნგრეთი, 6. აშშ.

△

რამდენიმე შეკითხვა ჩემპიონის მწვრთნელს

გუშინ რედაქციას ესტუმრა მსოფლიო ჩემპიონის ვ. რუბაშვილის მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ვ. ილურიძე. ჩვენ მას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

კითხვა: როგორ აფასებთ თქვენი მოწაფის გამარჯვებას მსოფლიო ჩემპიონატში?

ვ. ილურიძე: მართალი უნდა გითხრათ, ჩემთვის მოულოდნელი იყო ვ. რუბაშვილის დამარცხება პირველ წრეში. თუმცა მისი მოწინააღმდეგე იაპონელი სატო ძალზე ძლიერი მოჭიდავეა. საქმე იმაშია, რომ რუბაშვილმა რომში, ოლიმპიურ თამაშებზე, შედარებით ადვილად მოუგო ბრძოლა სწორედ ამ იაპონელს. ამ მარცხის მიუხედავად მე ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ იგი პრიზიორთა რიგებს მაინც არ გასცდებოდა.

ტურნირის დაწყება სამი საჯარიმო ქულით არც თუ იმდენად სასიამოვნო საქმეა, მაგრამ ხომ მიაღწიეს ასეთ კრიტიკულ მომენტებში წარმატებას ჩვენმა სახელოვანმა მოჭიდავეებმა დ. ციმაკურიძემ და გ. კარტოზიამ? ვ. რუბაშვილს დამარცხების მიუხედავად უნდა ებრძოლა პირველი ადგილისათვის, რადგან იგი სხვებზე უფრო ძლიერია და სხვებზე უკეთ იყო მომზადებული შეჯიბრებისათვის. ეს შემდგომში ტურნირის მსვლელობამაც ცხადყო.

ისე კი რუბაშვილის გამარჯვება, ისევე როგორც დ. ციმაკურიძისა და გ. კარტოზიას ზემოხსენებული წარმატებები სამაგალითო უნდა იყოს ახალგაზრდებისათვის, რომლებიც პირველი დამარცხების შემდეგ ჰყრიან ფარ-ხმალს და ჰკარგავენ გამარჯვებისათვის ბოლომდე ბრძოლის სურვილს.

კითხვა: როგორია თქვენი მოწაფის მომავალი გეგმები?

ვ. ილურიძე: ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა გამძაფრებით იბრძვის. ყველას ესახელება ჩემპიონთან მოგება ან შეხვედრის ფრედ დამთავრება მაინც. ასე რომ, ვ. რუბაშვილს კიდევ უფრო მეტი მუშაობა მოუხდება თავისი ტიტულების შესანარჩუნებლად.

ი. ფუნიკოვმა გაიმეორა მსოფლიო რეკორდი

თბილისის ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო აუზში გაიმართა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ცურვაში, სადაც კონკურსს გარეშე გამოდიოდა საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი თბილისელი ი. ფუნიკოვი („სპარტაკი“).

ი. ფუნიკოვმა 100 მ ბრასის სტილით ცურვაში აჩვენა — 1.11,4 წ. რაც ლ. კოლესნიკოვის მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

მატჩი პლოეშტში

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს მოჭადრაკეებმა თავისი მეორე შეხვედრა რუმინეთის ქ. პლოეშტში გამართეს. შეჯიბრების პირველი ტური დამთავრდა 5:3 საქართველოს მოჭადრაკეების სასარგებლოდ. ამ ტურის გადადებული პარტია ტოგონიძესა და რაიხეს შორის — ყაიმით დამთავრდა.

მეორე ტურის შეხვედრები ასე წარიმართა: კაკაბაძემ მოუგო გოგულიას, გაფრინდაშვილმა პარტია ყაიმით დაამთავრდა რაიხესთან, ტოგონიძემ წააგო პერევოზნიკთან, შიშოვმა მოუგო პავლოვს, გურგენიძემ — რადოვიჩს, ყაიმით დამთავრდა ბუსლაევ-მიტიტელუს პარტია, გიორგაძემ წააგო პარტოშთან, ჯინჯიხაშვილმა — გეორგიუსთან. ამგვარად, მეორე ტურის შეხვედრები დამთავრდა ფრედ — 4:4.

ლ. ლატინინას ახალი გამარჯვება

დამთავრდა შეჯიბრება ტანვარჯიშში ევროპის თასზე ქალთა შორის. შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწია საბჭოთა სპორტსმენმა ლ. ლატინინამ, რომელმაც მრავალჭიდში საუკეთესო შედეგი აჩვენა და მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილზე გამოვიდა აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენი პ. ასტახოვა. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ჩეხოსლოვაკელმა ვ. ჩესლავსკამ და ი. ფესტმა (გდრ).

ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებულნი გამოვიდნენ: ნაირსიმაღლის ძელსა და ღვირზე — პ. ასტახოვა; ამ იარაღებზე მეორე ადგილები დაიკავა ლ. ლატინინამ; თავისუფალ ვარჯიშში საბჭოთა სპორტსმენებმა ადგილები შეიცვალეს — პირველი იყო ლატინინა, ხოლო მეორე — ასტახოვა. ბჯენით ხტომებში გაიმარჯვა გერმანელმა შტარკემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისში გაიმართა „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადა, გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაში.

სურათზე: საავტომობილო და ელექტრომექანიკური ქარხნის ფრენბურთელთა. ფინალური შეხვედრის მომენტი.

ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა

მასობრიობის შემდგომი გაზრდით, მაღალტექნიკური შედეგებით შევხვდეთ პროფკავშირების რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებს!

სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ავტო-მოტოსკოლაში მრავალი ახალგაზრდაა გაერთიანებული. ისინი სისტემატურად ვარჯიშობენ გამოცდილი მწვრთნელების ზედამხედველობით.

სურათზე თქვენ ხედავთ ახალგაზრდა მოტოციკლისტებს, რომლებიც მანქანის მატერიალურ ნაწილებს ამოწმებენ ვარჯიშის დაწყების წინ.

ფოტო გ. თარალაშვილისა

კრებამ იმსჯელა მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე

ციხისძირის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობამ ამ დღეებში მეურნეობის თანამშრომელთა კრებაზე ახალგაზრდობის წინაშე დააყენა ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საკითხი. გავიდა სულ ცოტა ხანი და ჩამოყალიბდა ფრენბურთის, კალათბურთისა და ფეხბურთის გუნდები, სადაც თითქმის ყველა კომკავშირელი გაერთიანდა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს ფეხბურთელთა გუნდი, რომელსაც წვრთნის აგრონომი ჟ. ნასხიტაიშვილი. გუნდი ემზადება სარაიონო და აჭარის შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობას არ გააჩნია საკუთარი სტადიონი, ფეხბურთელები ვარჯიშობენ ჭობულეთში, ჩაქვში, ბობოყვათში და ატარებენ ამხანაგურ შეხვედრებს.

ჯ. ქათამაძე

VII პროფკავშირული

მიმდინარე წელს საქართველოს პროფკავშირთა სპორტული საზოგადოებების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს რამდენადმე მეტად საპასუხისმგებლო ღონისძიებაში აქვთ დასაცავი თავიანთი კოლექტივის, რაიონის, ქალაქისა და რესპუბლიკის საპატიო სპორტული ღირსება. პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადებამ სერიოზული ამოცანები დააყენა მათ წინაშე, რომელთა წარმატებით გადაჭრა ხანგრძლივ მუშაობას საჭიროებდა. თუ რა ღონისძიებანი გაატარეს ამ მხრივ თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ორგანიზაციებმა, როგორ ემზადებოდნენ ადგილობრივი და რესპუბლიკური სპარტაკიადებისათვის, რა შესაძლებლობანი გაგვაჩნია საკავშირო ასპარეზზე გასვლის წინ, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს მოუთხრო რესპუბლიკური სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ი. ხეთაგურმა.

ჯერ კიდევ გასულ წელს როსტოვში გამართულმა საკავშირო სპარტაკიადამ ცხადყო საქართველოს საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების ძალთა ერთგვარი ზრდა. ჩვენი დელეგაცია მაშინ საერთო მე-6 ადგილზე გამოვიდა. უფრო მაღალი მაჩვენებლები ჰქონდათ ცალკეულ კოლექტივებს. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ძალოსნებმა 32 გუნდს შორის მე-3 ადგილი დაიკავეს, ბათუმელი მოცურავეები 28

საუბარი საქართველოს პროფკავშირთა III სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან, საქართველოს პროფსაბჭოს მდივან ი. ხეთაგურთან

კოლექტივს შორის მე-5 ადგილზე გამოვიდნენ და ა. შ. მაგრამ სპარტაკიადამ გამოავლინა ბევრი ნაკლოვანებაც, და რომ არსებული შესაძლებლობანი და რეზერვები უკეთ გამოგვეყენებინა, შეიძლებოდა მეტის გაკეთებაც.

სწორედ რეზერვების მაქსიმალური გამოვლინება, გუნდების უკეთ დაკომპლექტება შეადგენდა საქართველოს სპორტსაზოგადოებათა ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების ამოცანას და VII საკავშირო სპარტაკიადისათვის სამზადისის მთელი საქმიანობაც აქეთკენ წარიმართა. დღის წესრიგის ძირითად პუნქტად გადაიქცა სპორტში მშრომელთა ფართო მასების მეტი რაოდენობით მიზიდვა, სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის გაუმჯობესება, მიღწევსან სპორტსმენთა გამოვლინება და მომზადება. ამ მხრივ კარგად იმუშავეს „განთიადის“ ორგანიზაციებმა, რის წყალობითაც ცენტრალურმა საბჭომ საკავშირო სპორტკავშირის საპატიო სიგელი მიიღო. კარგი მუშაობისათვის სიგელებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე მთელი რიგი ფიზკულტურული კოლექტივები, რომელთა შორის არიან საწარმოო ორგანიზაციებიც — თბილისის ელდეპო („ლოკომოტივი“), კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა, ელექტროავტომატი, ქუთაისის ავტოქარხანა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (ყველა „განთიადი“).

რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში საგრძნობლად გარდაქმნეს მუშაობა აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, თბილისის, ზესტაფონის, რუსთავის, ბორჯომის, გორის საწარმოო კოლექტივებმაც, რომლებმაც წარმატებით გაანალდეს სპორტის განვითარების გეგმები და კარგად ჩაატარეს თავიანთი სპარტაკიადები. ქების ღირსი არიან ქუთაისის ავტოქარხნისა და აბრეშუმკომბინატის, სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის ფაბრიკის, ზუგდიდის ინგურკომბინატის, თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის, საელმავლო დეპოსა და ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს ორგანიზაციები.

მაგრამ მოწინავეთა გვერდით ჯერ კიდევ არიან ისეთი კოლექტივები, რომლებმაც არაორგანიზებულად ან სრულებით არ ჩაატარეს თავიანთი სპარტაკიადები. ესენია თბილისის ცხიმკომბინატი, მარმელადის ფაბრიკა, საბურთალოს აგურის ქარხანა, კასპის ცემენტის ქარხანა, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, აგრეთვე „სპარტაკისა“ და „ლოკომოტივის“ მთელი რიგი ორგანიზაციები. სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში საგრძნობლად განმტკიცდა და გარდაიქმნა მუშაობა სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ძალოსნობა, კრივი, ჭიდაობა, წყალში ხტომა და სხვ. შეკეთდა სპორტული ბაზები, მაგრამ სასაყვედუროც ბევრია. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის საცურაო აუზი რუსთავში, უპატრონოდაა მიტოვებული, ჭიანურდება კასპის ცემენტის ქარხნის ტანვარჯიშული დარბაზის სამუშაოების დამთავრება და სხვ.

თბილისის სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ, რომელიც 9 ივნისს იწყება და 3 ჯგუფად ტარდება, ორიოდე კვირაც არ გაივლის, რომ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში თავს მოიყრიან პროფკავშირთა VII რესპუბლიკური სპარტაკიადის I ჯგუფის მონაწილენი — თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აჭარისა და აფხაზეთის ნაკრები გუნდები, რომლებიც გამარჯვებისათვის იბრძოლებენ სპორტის 14 სახეობაში. თბილისშივე გაიმართება დიდ საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადა 5 სახეობაში, აქ გამარჯვებულნი მიიღებენ საგზურს საკავშირო სპარტაკიადაზე.

რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ უნდა გამოავლინოს ყველა ჩვენი შესაძლებლობანი, დადებითი და ნაკლოვანი მხარეები, რათა რესპუბლიკური სპარტაკიადის დამთავრების შემდგომ პერიოდში, საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე აღმოვფხვრათ შემჩნეული ხარვეზები და წარმატებით დავიცვათ საქართველოს სპორტული ღირსება საკავშირო ასპარეზზე. ეს არის ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივების, მწვრთნელების, სპორტსმენების გადაუდებელი ამოცანა.

ავტოქარხნელები ემზადებიან

ქუთაისის ავტოქარხანაში შეიქმნა საქარხნო სპარტაკიადის ჩატარების ორგკომიტეტი ი. გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით. მიმდინარე წლის მარტში ჩატარებულ იქნა შიდასაამქროთა პირველობები სპორტის რამდენიმე სახეობაში, სადაც მონაწილეობდა 4.500 ფიზკულტურელი. აპრილში მოეწყო საქარხნო სპარტაკიადა 18 სახეობაში, 23 საამქროსა და განყოფილების გუნდების მონაწილეობით.

სპორტის 14 სახეობაში დაკომპლექტდა ქარხნის ნაკრები გუნდები, რომლებიც ჩაებნენ „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაში.

ავტოქარხნელებმა მომავალ სპარტაკიადასთან დაკავშირებით ახალი ვალდებულებები იკისრეს. ივალდებულეს მეთ ნიშნოსანთა, სპორტსმენ თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების 1961 წლის გეგმები შეასრულონ პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის დღისათვის, აქ უკვე მომზადდა ერთი სპორტის ოსტატი, 6 პირველთანრიგოსანი, 23 — მეორე, 35 — მესამე და 15 — მოზარდთა თანრიგოსანი.

ნ. ფანჩვიძე

ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით

რაიონულ თუ საქალაქო შეჯიბრებებში უკანასკნელ წლებში პრიზიორთა შორის ვერსად შეხვდებით თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის სპორტსმენთა გვარებს. აქაურ ფიზკულტურელთა უკანასკნელი წარმატება 1955 წლით თარიღდება, როცა პირველი ადგილი მოიპოვეს „პიშჩევიკის“ სპარტაკიადაზე.

თუ ამ მრავალრიცხოვან კოლექტივში ფიზკულტურული მუშაობის მოდუნების სათავეს მოვძებნით, იგი ფიზკულტურის ძველ ინსტრუქტორ-მეთოდისტ ბ. დანელიასთან მიგვიყვანს, რომელიც მუშაობის ჩაშლისათვის სრულიად სამართლიანად შეცვალეს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებულ ა. მიგრიაულით.

თავისი „მოღვაწეობის“ დასაწყისში დაფაცურდა ახალი მეთოდისტი, გადაახალისა ფიზკულტურელთა აღრიცხვის ჟურნალი, შექმნა სექციები სპორტის ხუთ სახეობაში, ფრენბურთელები „განთიადის“ საქალაქო სპარტაკიადაზეც კი გაიყვანა. შემდეგ... ახალმა მეთოდისტმაც ერთგულად გაამართლა „ახალი ცოცხის“ ანდაზა.

ფაბრიკის სპორტული ბაზების ავლადიდებას ფრენბურთის პრიმიტიული მოედანი შეადგენს, რომელზეც უფრო ხშირად ყუთებსა და საამშენებლო მასალას შეხვდებით, ვიდრე ბურთსა და სპორტსმენებს. „განთიადის“ ცენტრალური ბაზებით სარგებლობას კი „სიშორის“ გამო არ კადრულობენ, მაშინ, როცა ისინი ფაბრიკიდან რამდენიმე ასეული მეტრითაა დაშორებული. ამგვარმა ზრუნვამ თავისებური გავლენა იქონია მუშა-მოსამსახურეთა სპორტით დაინტერესებაზე. ფაბრიკის შტატის 9 პროცენტიც არაა ჩაბმული ფიზკულტურულ მუშაობაში, მაშინ, როცა კარზეა მომდგარი პროფკავშირის ფიზკულტურელთა საქალაქო და რესპუბლიკური სპარტაკიადები.

ერთ მეტად სამწუხარო კურიოზს წავაწყდით ფიზკულტურული ხელმძღვანელის მუშაობაში, რაც სპორტკავშირის სტალინის რაისაბჭოს თავმჯდომარის ა. პეტროსიანის უდარდელობაზეც მეტყველებს. შარშან ფაბრიკაში 12 ნიშნოსანი მოუმზადებიათ, შეუდგენიათ ოქმი ნორმატივების ჩაბარების შესახებ. 10 კმ-ზე ვაჟებისათვის და 5 კილომეტრზე ქალებისათვის სწრაფგადასვლის ოქმში ვკითხულობთ, რომ ყველა მათგანს აღნიშნული დისტანციები „კოსმოსური“ სისწრაფით გაურბენიათ, ვაჟთა შორის ნორმატივების ჩამბარებელი 9 ფიზკულტურელიდან 10 კმ-ის გავლისათვის არც ერთს არ დასჭირებია 1,08 წამზე მეტი დრო, ხოლო ქალებს — 3,01 წამზე მეტი, რაც ყველა არსებულ და შესაძლებელ მსოფლიო რეკორდს აღემატება.

ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ა. მიგრიაულმა იქნება არ იცოდა სად რა და როგორ უნდა შეეტანა ოქმში, მაგრამ რას ფიქრობდა სტალინის რაისაბჭოს თავმჯდომარე ა. პეტროსიანი, რომელიც წარდგენილი მასალების საფუძველზე, მათი შემოწმების გარეშე წერდა განკარგულებას ნიშნების მინიჭების შესახებ, აწერდა ხელსა და ამტკიცებდა ბეჭდის დასმით?

ისიც გვითხრეს ფაბრიკაში, რომ რაისაბჭოდან მთელი წლის განმავლობაში არავინ მოსულა დახმარებისთვისო, მით უმეტეს ახალ მეთოდისტს მეტი დახმარება, მეტი რჩევა-დარიგება სჭირდებოდა.

ო. გელაშვილი

ფეხბურთი

„ბ“ კლასში

„ტორპედო“ (ქუთაისი)-„პამირი“ (ლენინაბადი) — 1:0.

4 ივნისს ქუთაისში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „ტორპედო“ (ქუთაისი)-„პამირი“ (ლენინაბადი).

მატჩის დასაწყისი ერთობ მრავლის მეტყველი იყო. ქუთაისელებმა მძაფრი შეტევით დაიწყეს თამაში და უკვე მე-5 წუთზე მიაღწიეს წარმატებას: ლეჟავამ კარგად გამოიყენა ხაჟალიას გადაცემა და გახსნა ანგარიში — 1:0.

სტუმრებმა დაცვითს ტაქტიკას მიმართეს და ერთ-ერთი შუამარბი დაწიეს უკან დაცვის დასახმარებლად, მაგრამ თანდათან გამოირკვა, რომ „ტორპედოს“ თავდამსხმელები ამ დღეს თამაშობდნენ უსისტემოდ, ზედმეტად ატარებდნენ ბურთს და არაზუსტად ურტყამდნენ კარში. მართალია, მათ 39-ე წუთზე ჰქონდათ მეორე ბურთის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ მაჭარაშვილის მიერ მიწოდებული ბურთი ლეჟავამ ძელს მოახვედრა.

ლენინაბადელებმა თანდათან გამოიყენეს მოწინააღმდეგის სუსტი თამაში და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მის კართან. საამისოდ მათ კვლავ წინ დაბრუნეს დაცვაში გადაყვანილი შუამარბი, მაგრამ „ტორპედოს“ დაცვამ შეძლო კარის უვნებელყოფა და მასპინძლებმა შეინარჩუნეს მინიმალური ანგარიში თავიანთ სასარგებლოდ — 1:0.

ლ. ფაჩუაშვილი

„მეტალურგი“ (რუსთავი)-„სტარტი“ (ტაშკენტი) — 1:0.

ამავე დღეს რუსთავში თამაშობდნენ II ზონის გუნდები „მეტალურგი“ (რუსთავი)-„სტარტი“ (ტაშკენტი).

მოწინააღმდეგეებს დაახლოებით თანაბარი მდგომარეობა აქვთ გათამაშების ცხრილში, რაც მაყურებელთა გაძლიერებულ ინტერესს იწვევდა მატჩისადმი. და უნდა ითქვას, ეს ინტერესი გამართლდა. რუსთავის ფეხბურთელებმა კომბინაციური, შეთანხმებული შეტევით დაიწყეს მატჩი და რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს „სტარტის“ კართან, მაგრამ სტუმრებმა მათ ასეთივე აქტიური თამაშით უპასუხეს. ბურთის გატანის შესაძლებლობანი მათაც რამდენიმეჯერ ჰქონდათ.

ამ დაძაბულ ბრძოლაში პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ „მეტალურგის“ თავდამსხმელმა ქოჩიაშვილმა ზუსტი დარტყმით გაიტანა გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ტაშკენტელები უხეშად თამაშობდნენ, რის გამოც მათი ორი მოთამაშე 10-10 წუთით იქნა გაძევებული მინდვრიდან.

„მეტალურგმა“ მიაღწია მნიშვნელოვან გამარჯვებას ანგარიშით 1:0.

რ. ხარატი

4 ივნისს შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის.

მოგილიოვში, ადგილობრივი „ხიმიკის“ წინააღმდეგ თამაშობდა ზონის ლიდერი — თბილისის „ლოკომოტივი“. თბილისელებმა ცუდად ჩაატარეს მატჩი და დამარცხდნენ ანგარიშით 0 : 2.

* * *

ვიტებსკში შედგა მატჩი ბათუმის „დინამოსა“ და ვიტებსკის „კრასნოე ზნამიას“ შორის. თამაშის შედეგია 1 : 1.

* * *

სოხუმის „რიწა“ თავისი მორიგი მატჩი ჩაატარა გომელში ადგილობრივი „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

„ა“ კლასში

გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 6 ივნისისათვის

I ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ მ.	10	8	1	1	16:6	17
„ავანგარდი“ ხ.	10	6	3	1	11:6	15
„ნეფტიანიკი“ ბ.	10	4	4	2	11:9	12
სკა როსტ.	10	4	2	4	18:11	10
„დინამო“ თბ.	10	4	2	4	13:11	10
„ლოკომოტ“. მ.	10	3	4	3	14:16	10
„ადმირალტ.“ ლ.	10	4	1	5	10:10	9
„შახტიორი“ სტ.	10	2	4	4	7:13	8
„დაუგავა“ რ.	10	2	3	5	10:14	7
„ტრუდი“ ვორ.	10	1	4	5	6:11	6
„სპარტაკი“ ვ.	10	1	4	5	9:18	6

* * *

II ჯგუფი

„დინამო“ კ.	10	7	1	2	22:9	15
ცსკა	10	6	2	2	24:16	14
„სპარტაკი“ მ.	9	5	3	1	19:8	13
„პახტაკორი“ ტ.	9	5	2	2	18:17	12
„სპარტაკი“ ერ.	10	2	5	3	16:18	9
„ზენიტი“ ლ.	10	3	3	4	14:19	9
„კაირატი“ ა-ტა	10	3	3	4	12:18	9
„მოლდოვა“ კიშ.	10	3	2	5	20:19	8
„დინამო“ მ.	9	3	2	4	11:14	8
„ბელარუსი“ მნ.	9	2	1	6	9:14	5
„კალევი“ ტალ.	10	0	4	6	9:22	4

ფრე ვორონეჟში

გუშინ ვორონეჟში შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თბილისის დინამოელები აქ შეხვდნენ ადგილობრივ „ტრუდს“.

პირველი ტაიმი მასპინძლებმა დიდი აღმაელობით ჩაატარეს და ჯერ კიდევ დასაწყისში გაიტანეს გოლი. ნახევარმცველმა მანუილოვმა შორი მანძილიდან დაარტყა კარში, მეკარე კოტრიკაძე არ იყო მზად და ყოველგვარი რეაგირების გარეშე გაუშვა ბურთი — 1:0.

შესვენების შემდეგ თბილისელები შედარებით უკეთ თამაშობდნენ, მაგრამ მაქსიმალური მაქ. შეძლეს, ესროლეს ბურთი გატანილი სასუხო გოლი; მელაშვილმა დარტყა კარში, ბურთი ოდ ხვდა იმავე მანუილოვს და ბადეში აღმოჩნდა. მატჩის შედეგია 1:1.

„დინამო“ თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჟოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, დათუნაშვილი, მესხი.

* * *

I ჯგუფი

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)-„ტორპედო“ (მოსკოვი) — 0:1.
„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)-„სპარტაკი“ (ვილნიუსი) — 0:2.
„შახტიორი“ (სტალინო)-„ნეფტიანიკი“ (ბაქო) — 1:0.
„ავანგარდი“ (ხარკოვი)-„დაუგავა“ (რიგა)— 1:0.

II ჯგუფი

„პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„კაირატი“ (ალმა-ატა) — 3:2.
„სპარტაკი“ (მოსკოვი)-„კალევი“ (ტალინი) — 5:1.
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„სპარტაკი“ (ერევანი) — 2:3.
„დინამო“ (კიევი)-ცსკა — 1:1.

„ა“ კლასის წყალბურთელთა 1961 წლის საკავშირო პირველობა

თბილისის „დინამოს“ 4 ქულა

თბილისელი წყალბურთის მოყვარულნი მაინცდამაინც განებივრებული არ არიან სპორტის ამ სახეობაში დიდი შეჯიბრებებით. ამიტომ იყო, რომ გასულ კვირას, როცა საზაფხულო საწყლოსნო აუზში დაიწყო „ა“ კლასის გუნდების 1961 წლ-ს საკავშირო პირველობის მატჩები, ტრიბუნები აივსო მაყურებლებით და ძლიერი წვიმის მიუხედავად ისინი ყოველ მატჩს დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს.

ჩემპიონატი გაიხსნა ტალინის „დინამოსა“ და მინსკის „ბურევესტნიკის“ შეხვედრით, რომელიც დამთავრდა უკანასკნელის გამარჯვებით — 4:3.

მაყურებელთა იმედები გამართლდა, როცა მოსკოვისა და კიევის „ბურევესტნიკის“ გუნდების თამაში დაიწყო. ეს კოლექტივები ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს „ა“ კლასის გათამაშებაში და ყოველი მატჩი სპორტულად საინტერესოდ ჩატარებულა. ასე იყო გასულ კვირასაც. პირველსავე წუთებზე კიეველებს მარცხი შეემთხვათ — მეკარემ შეცდომა დაუშვა და ბურთის გატანამდე გაძევებულ იქნა აუზიდან. მოსკოველებს შეექმნათ ანგარიშის ეახსნის შესაძლებლობა, მაგრამ დაწყებული კომბინაციები მიზანს ვერ აღწევდა. წარუმატებლობამ დაბნეულობა შეიტანა მოსკოველთა რიგებში, რითაც კარგად ისარგებლეს მათმა მოწინააღმდეგეებმა, ხელთ იგდეს ბურთი და გაემართნენ მეტოქის კარის დასაცავად. მოსკოველებს ისღა დარჩენოდათ, რომ უხეში თამაშით ეხსნათ თავი უსიამოვნო შედეგისაგან, ამას მოყვა კარში 4-მეტრიანი საჯარიმოდ და კიეველებმა გახსნეს ანგარიში — 1:0.

გატანილმა გოლმა თითქოს გამოაფხიზლა მოსკოველები და ისინი მთელი გუნდით გადავიდნენ შეტევაზე. მალე ერთ-ერთი ხელსაყრელი მომენტი კარგად გამოიყენა გუნდის კაპიტანმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. კურენოიმ და ანგარიში გათანაბრდა, შემდეგ მოსკოველები წინ გავიდნენ — კიეველთა კარში ბურთი ზუსტად ტყორცნა ა. მუსატკინმა. კიევის „ბურევესტნიკს“ მალე მიეცა ანგარიშის გათანაბრების რეალური შანსი—მოსკოველთა კარისაკენ ბურთიანად გაიჭრა ვ. ვოზნიუკი, რომელსაც გზა გადაუღობეს მცველებმა. კიეველს შეეძლო ბურთი უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი პარტნიორისათვის გადაეცა, მაგრამ მან თვითონ ტყორცნა და... ააცილა. ამის საპასუხოდ ვ. კურენოიმ 4-მეტრიანი საჯარიმოდან გაიტანა ბურთი. კიეველებმა მხოლოდ ერთი ბურთის გაქვითვა შეძლეს და დამარცხდნენ — 2:3.

ამ დღეს თბილისის „დინამოს“ მეტოქე იყო ლენინგრადის „ბალტიკა“. აღსანიშნავია, რომ ლენინგრადელები ყოველთვის კარგად თამაშობენ ჩვენი ქვეყნის წამყვანი გუნდების წინააღმდეგ და საბჭოთა წყალბურთის ლიდერებთან ბრძოლას ოოლად არ თმობენ.

პირველი ბურთის დაუფლებისთანავე დინამოელებმა შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, ეს გასაგები იყო, ვინაიდან ლენინგრადელებმა ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ გამოიყენეს ზონური დაცვა, რის დასაძლევად თბილისელებმა თავიდანვე ვერ მიიღეს სწორი გადაწყვეტილება. კარის აღების კარგი შესაძლებლობები ჰქონდათ ი. ჩხეიკვაძეს, გ. ჩიქვანიას, მაგრამ პირველ პერიოდს შედეგი მაინც არ მოჰყოლია. უფრო უხვმოსავლიანი გამოდგა მეორე პერიოდი, რომელიც კინაღამ თბილისელთა კარის აღებით არ დამთავრდა — ი. ვილკინის ძლიერი ტყორცნა შესანიშნავად მოიგერია თბილისელთა მეკარემ ლ. გოგოლაძემ. ამ მომენტიდან დაიწყო თბილისელთა შტურმი. ერთ მომენტში გ. ჩიქვანაია დაიძრა ბურთიანად ლენინგრადელთა კარისაკენ და მას ორი წყალბურთელი გადაეღობა წინ. თბილისელმა ბურთი ზუსტად გადააწოდა ო. მიმინოშვილს, რომელმაც ძნელი მდგომარეობიდან ძლიერად ტყორცნა კარში — 1:0. მალე სტუმრების კარის ბადე მეორედ შეირხა. თბილისელების კარგად გათამაშებული კომბინაცია დააგვირგვინა კ. ჭიჭინაძემ: მან მიიღო ნ. გვახარიას გადაცემა, მოატყუა ჯერ მცველი, შემდეგ მეკარე და იშვიათი სილამაზის ბურთი გაგზავნა „ბალტიკის“ კარში.

მესამე პერიოდი კვლავ უშედეგოდ დამთავრდა. მეოთხე პერიოდში თბილისელებმა შეძლეს ტერიტორიული უპირატესობის რეალიზება. ჯერ გვახარია გაექცა ლენინგრადელთა მცველს, პარტნიორებისაგან მიიღო ბურთი და ანგარიში სამამდე გაზარდა, შემდეგ გ. ჩიქვანაიამ კ. ჭიჭინაძის მოწოდებიდან გაიტანა უკანასკნელი ბურთი ამ მატჩში — 4:0.

* * *

გუშინ შედგა მეორე ტურის შეხვედრები. თბილისის „დინამოს“ მოუგო ლენინგრადის „სპარტაკს“ —6:2. რსფსრ-ს „ტრუდმა“ — ტალინის „დინამოს“ — 3:1, კიევის „ბურევესტნიკმა“ — მინსკის „ბურევესტნიკს“ — 3:1. მოსკოვის „ბურევესტნიკისა“ და ლენინგრადის „ბალტიკის“ მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

ლვოვში გაიმართა „ა“ კლასის დანარჩენი რვა გუნდის შეხვედრები, რომელთა ტექნიკური შედეგები ასეთია: მოსკოვის „დინამო“-ფრუნზეს „შრომითი რეზერვები“ — 7:0; კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (კჯფ)-კიშინიოვის „მოლდოვა“ — 7:0; ლენინგრადის „ბურევესტნიკი“-ლვოვის „დინამო“ — 3:2; სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო კლუბი (ვმფ)-მოსკოვის „ტორპედო“ — 5:0.

გ. ხარებავი,
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ზ. ჯანდიერი

* * *



სურათებზე: ზევით — ნ. გვახარია მოწინააღმდეგის კარის იერიშის დროს. ქვევით — შეჯიბრების გახსნა.

ფოტო მ. ზარგარიანისა

ლაპარაკობენ მომავალ შეჯიბრებაზე

ფრენბურთელთა საქალაქთაშორისო ტურნირის მეორე დღეს მოედანზე პირველად გამოვიდნენ „სპარტაკი“ (გროზნო) და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი. ამ შეხვედრის პირველი პარტია თბილისელებმა ადვილად მოიგეს — 15:8. მეორე პარტიაში თითქმის იგივე გამეორდა, მხოლოდ-პირიქით, ამჯერად გროზნოელებმა შეუტიეს თბილისელებს და მოიგეს კიდეც — 16:14. მათივე სასარგებლოდ დამთავრდა მესამე პარტიაც — 15:11. თბილისელები დამარცხების საშიშროების წინ დადგნენ. მათ თამაში გარდაქმნეს, პარტია მოიგეს და ანგარიში გაათანაბრეს — 2:2. თბილისელებმა ასეთივე აღმავლობით ჩაატარეს გადამწყვეტი პარტია—15:9 და დაამარცხეს მოწინააღმდეგე. ასე დამთავრდა ეს მეტად დაძაბული ორთაბრძოლა, რომელიც 2 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა.

ამ დღის მეორე მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ხარკოვის „ბურევესტნიკი“ და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, გაიმარჯვეს თბილისელებმა — 3:0. შეჯიბრების მესამე დღეს თამაშობდნენ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები, აგრეთვე ხარკოვის „ბურევესტნიკი“ და გროზნოს „სპარტაკი“. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა და ხარკოვის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხეს მოწინააღმდეგეები შესაბამისად — 3:0, 3:1.



შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩვენ ვესაუბრეთ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრს—ვ. კაჭარავას, აგრეთვე მწვრთნელებს ა. თევოსიანსა და ე. ანტონოვს. ვ. კაჭარავამ განაცხადა, რომ გუნდი კარგსპორტულ ფორმაშია და მისი მთავარი ამოცანაა სსრ კავშირის პირველობაზე ხუთეულში მოხვედრა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელმა ა. თევოსიანმა განაცხადა რომ საკავშირო პირველობის ფინალამდე, რომელიც კიევში ტარდება, ერთ თვეზე ნაკლები დრო დარჩა. ამ დროის მონაკვეთში „ვუნდმა ინტენსიურად უნდა გამახელოს ფიზიკურ მომზადებაზე, დაცვაში გადალა სტაფეტურ მოთამაშეობა. შემდეგ ეს ხარვეზიც გამოვასწოროთ.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის მწვრთნელმა ე. ანტონოვმა თავისი გუნდის შესახებ შემდეგი გვიამბო: — როგორც ცნობილია, ჩვენმა გუნდმა მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება „ბ“ კლასის გუნდებს შორის (იწყება 30 ივნისს როსტოვში და თავდება 4 ივლისს), საფინალო ტურნირში მონაწილეობენ ოდესისა და როსტოვის არმიელთა სპორტული კლუბები, ლენინგრადის უნივერსიტეტის გუნდი და ჩვენ. პირველი ადგილის მფლობელი „ა“ კლასში გადასვლის უფლებას მოიპოვებს, მეორე ადგილის მფლობელი კი „ა“ კლასში XI ადგილზე გამოსულ გუნდთან გადასასვლელი მატჩის ჩატარების უფლებას.

სპორტის ეროვნული ინსტიტუტი

ა. წ. 7 მაისს ქ. პატიალაში, რომელიც დელიდან 150 მილის მანძილზე მდებარეობს, გაიხსნა ინდოეთის სპორტის ეროვნული ინსტიტუტი. ოფიციალურ ცერემონიალში მონაწილეობდნენ ინდოეთის განათლების მინისტრი, პენჯაპის შტატის პრემიერ-მინისტრი, სპორტული კლუბების თავმჯდომარეები, ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე, ინსტიტუტის კომიტეტი მთელი შემადგენლობით და ბა და მის ირგვლივ მდებარე უზარმაზარი ტერიტორია წინათ პატიალას მაჰარაჯას ეკუთვნოდა. მისი შვილი, ე. ი. პატიალას ახლანდელი მაგარაჯა, სპორტის მოყვარული კაცია და ამავე ქალაქში ცხოვრობს, მაგრამ ახლად აშენებულ სასახლეში. რაც შეეხება ძველ სასახლეს, სადაც ამჟამად სპორტის ინსტიტუტია. მან დაუთმო მთავრობას განსაზღვრული თანხის ანაზღაურების შემდეგ. შენობა შედგება 365 ვეება ოთახისა და სპორტული დარბაზებისაგან. ირგვლივ მდებარე ვრცელი ტერიტორია საშუალებას იძლევა მოეწყოს სპორტული მოედნები თითქმის ყველა სახეობისათვის.

ინსტიტუტის შემდგომი პერსპექტივები ასეთია: იგი გადაკეთდება სანწლიანად. ამ ხნის განმავლობაში სტუდენტები იმეცადინებენ თავიანთ ძირითად სახეობებში, ჯაგრამ ერთდროულად ალბათ მიუხდებათ ისეთი აუცილებელი საგნების შესწავლა, როგორიცაა ანატომია და სპორტის ფსიქოლოგია. სტუდენტთა რაოდენობა დაახლოებით 150 კაცია. ინსტიტუტის მოვალეობას შეადგენს აგრეთვე საწვრთნელ შეკრებათა ჩატარება და ინდოეთის ნაკრები გუნდების მომზადება.

მკითხველებისათვის ალბათ საინტერესოა, თუ რა მუშაობას ვატარებთ. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად სტუდენტთა ყოველი ნაბიჯი, მათი სწავლება მთლიანად დაურდნობილია მწვრთნელებზე, რომლებსაც თვითონ აქვთ შემუშავებული საკუთარი პროგრამა.

ინდოეთში

მე, მაგალითად, მყავს 18 სტუდენტი — ინდოეთის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები. ვმეცადინეობთ ყოველდღიურად, გარდა კვირისა და სადღესასწაულო დღეებისა, დღეში 5 აკადემიურ საათს დილასა და საღამოს. აქ შედის თეორიული, პრაქტიკული და მეთოდური მეცადინეობა. კვირაში სამი დღე გამოყოფილი გვაქვს სპეციალური წვრთნისათვის. შეძლების მიხედვით მათთან გავიარე ელემენტარული საკითხები ანატომიიდან, ფიზიოლოგიიდან და ვინაიდან სათანადო ლიტერატურა ჯერ არ არის, სტუდენტები ადგენენ მეცადინეობათა კონსპექტებს, ხშირად ვაძლევ საშინაო დავალებებს, ვატარებინებ გაკვეთილებს დამოუკიდებლად.

რა შემიძლია ვთქვა საერთოდ ინდოეთის სპორტის შესახებ. აქ ძირითადად გავრცელებულია ბალახის ჰოკეი, კრიკეტი და ჩოგბურთი. სპორტის სხვა სახეობები ჯერჯერობით მხოლოდ დასაწყის ფაზაშია, ამიტომ ინსტიტუტის გახსნის დღეს ჩვენს მიერ შედგენილი და დემონსტრირებული სპეციალური საჩვენებელი გამოსვლები წარმართული იყო სპორტის სხვა სახეობათა აგიტაციისაკენ. ვფიქრობ, შორს არაა ის დრო, როცა ინდოელი ტანმოვარჯიშეები გამოჩნდებიან საერთაშორისო სარბიელზე.

თ. სანეგლიძე,
სპორტის ოსტატი.

ქ. დელი.

* * *

სურათზე: ინდოეთის ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი. შუაში დგას ქართველი სპორტის ოსტატი თ. სანებლიძე.

ფეხბურთის ქრონიკა

4 ივნისს შედგა პირველი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში იმ ქვეჯგუფში, სადაც მოხვედრილი არიან იუგოსლავიისა და პოლონეთის გუნდები. იუგოსლაველებმა ბელგრადში მიიღეს მოწინააღმდეგე და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2 : 1.

გამეორებითი მატჩი შედგება ვარშავაში.

* * *

გამოვლინდა საფრანგეთის ჩემპიონი ფეხბურთში. „მონაკომ“ მოიგო გადამწყვეტი მატჩი და გახდა ამ საპატიო ტიტულის მფლობელი.

რედაქტორი ი. უგულავა.

6-7 ივნისი

ფიზკულტურელის პარკის საზაფხულო აუზი

საკავშირო პირველობა წყალბურთში



დღეს!

„დინამო“ (თბილისი) — „ტრუდი“ (რსფსრ); „დინამო“ (ტალინი) —„ბურევესტნიკი“ (კიევი); „ბურევესტნიკი“ (მინსკი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი); „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი).

ხვალ!

„სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „ბურევესტნიკი“ (მინსკი); „ტრუდი“ (რსფსრ) — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი); „ბურევესტნიკი“ (კიევი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი); „დინამო“ (ტალინი) — „დინამო“ (თბილისი).

დასაწყისი 17 ს.

თბილისი

დამთავრდა თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ცურვა, ფრენბურთი, კალათბურთი, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სროლა, ხელბურთი და ჭადრაკი. საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს 61-ე სკოლის, მეორე — 63-ე და მესამე— 57-ე სკოლის სპორტსმენებმა.

ი. ხაბეიშვილი

მოსწავლეთა სპარტაკიადები

ადიგენი

ამ დღეებში მოეწყო ადიგენის რაიონის საშუალო სკოლების მოსწავლეთა სპარტაკიადა, სადაც მონაწილეობდნენ ადიგენის, აბასთუმნის, უდის, არლის, ვარხნის, ბოლაჯურისა და მოხის საშუალო სკოლები.

შეჯიბრების პროგრამაში იყო ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, ტყვიით სროლა და მძლეოსნობა.

საერთო გუნდურ პირველ ადგილზე გამოვიდა აბასთუმნის საშუალო სკოლა. მეორე ადგილზე არიან უდის, ხოლო მესამეზე — ადიგენის სკოლის მოსწავლეები.

სუსტად გამოვიდნენ ვაჟები მძლეოსნობაში. 7 საშუალო სკოლის ვაჟებს შორის მძლეოსნობაში ვერც ერთმა ვერ შეასრულა III თანრიგის ნორმა. სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის ამ თანრიგის ნორმა შეასრულეს ი. რაჭველიშვილმა, მ. მერაბიშვილმა, ნ. გიქოშვილმა, ქ. გავაშელიშვილმა, ნ. ბერიშვილმა და დ. დემეტრაძემ.

ვ. ზაზაშვილი

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

8 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05561